

# დილა

არქონდის  
აბუგედი, ტურუნა მუხრანის  
ილისნე, ქართულთ მხარეო,  
და შუტე, ქართულთ, სწავლით  
სამსობლო გავსარეო!

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის



ა პ რ ი ლ ი

№ 4

1951



რეჟისორი პარპიანი

ნახატი ალ. ვეფხვაძისა

## პიონერული სიმღერა

ბედნიერი ხალხის შვილებს  
ქობილიური ზრუნვით გვზრდიან,  
საბჭოეთის დიად ქვეყნის  
ნორჩ ვაზილებს გვუბახიან.

ჩვენ მზრუნველად ჰართია გვუბახს  
და გამზრდელად მისი შვილი:  
ლენინური კომკავშირი,  
სტალინური კომკავშირი.

ღირსი ვიეთ ჩვენი ხალხის,  
ჩვენი ქვეყნის მთა და ველის,—  
ასე ფიქრობს საბჭოეთში  
კველა ნორჩი ლენინელი.

ჩვენ მზრუნველად ჰართია გვუბახს  
და გამზრდელად მისი შვილი:  
ლენინური კომკავშირი,  
სტალინური კომკავშირი.



487



ვლადიმერ ილიას-ძე ღვინინი ბავშვობისას


## ღექსები ღიღ ღვინინზე

\*  
შენმა ხომალდმა ღელვაში  
სტალინის მკლავით გასცურა.  
შენ ფიცი მოგცა სტალინმა,  
სიმტკიცით დაგიდასტურა.

გიორგი ლეონიძე

\*  
მიგვიძღვის შენი მტკიცე მარჯვენა  
და შენი ღროშა, სხივების მფენი.  
ჩვენი სიცოცხლის ხარ გამარჯვება,  
მარად ცოცხალო, უკვდავო ღვინინ!

ალექსანდრე აბაშელი



# ღექსები დიდ ღენინზე

\*

მის დანაბარებს ვასრულებთ,  
გვიყვარს სკოლა და წიგნები,  
დიდი ღენინის ანდერძის  
მარად ერთგული ვიქნებით.

ჩვენ ვიცით: დიდი სტალინი  
ღენინს მთის არწივს ადარებს!  
ღენინს ბავშვები უყვარდა,  
ღენინი უყვართ პატარებს.

პრიგოლ აბაშიძე

\*

ასე გულთით რომ შევხარით  
ალისფერი დროშის ფრიალს,  
მას ღენინის დიდი დროშა,  
მას სტალინის დროშა ჰქვია,

გაიზრდები, ცხოვრების გზა  
გაგეშლება ათასფერად,  
შენც შეშფიტცავ ამ დროშის ქვეშ  
სამშობლოს და ხალხთა ბელადს.

იოსებ ნონაშვილი

\*

გაიზრდები და გაიგებ  
ბედნიერი ბავშვი,  
თუ სტალინი დიად ღენინს  
როგორ ედგა მხარში,  
როგორ დასდო მის დროშასთან  
ფიცი დაურღვევი  
და არასდროს დაუხრია  
დროშა შუქთა-მფრქვევი.

მერაბ ლეხანიძე

\*

ღენინ დიადო!  
არ ჩაქრება შენი გენია,  
შენს უკვდავ ანდერძს  
ავგირგვინებს ბრძენი ქალბა,—  
ოქტომბრის დროშას  
მარად შენი შუქი ჰფენია,  
და ბრწყინავს კრემლი  
მილიონთა გულგასახარად.

ალექსანდრე მინაშვილი

\*

ის ყველგან ჰქუხს, სადაც მზეა,  
ქვეყნის წყლული სადაც რჩება;  
დიდ სტალინთან ერთად მოაქვს  
მას სამშობლოს გამარჯვება.

გიორგი კახაიძე

\*

მარად ხალხის გულში ცოცხლობს,  
მზე გვაშუქებს მისი მარად,  
ჩვენს ქვეყანას საფუძველი  
მან პირველმა ჩაუყარა.

მისმა საქმემ გაიმარჯვა,  
ჩვენთან არის, არ მომკვდარა,  
მან ხომ საკე ჩვენი ქვეყნის  
დიად სტალინს ჩააბარა.

რეზა მარაშვილი

\*

ჩვენ ღენინის ბრძნული რჩევა  
დავისომოთ უნდა:  
სწავლა, სწავლა.. ვინცა სწავლობს  
ის იმარჯვებს მულად.

პრილ სულაშვილი





ნახატები შ. ცხადაძისა

# ორი უძღვეველი არწივი

მეწყემსის ზღაპარი

ვრცელი და მდიდარი იყო ტყიანი ტოიგა.

ტაიგაში ბლომად იყო ნადირი და ფრინველი; ტბებში კი — თევზი. ბედნიერად შეეძლოთ ეცხოვრათ ევენკებს.

მაგრამ ხალხს თავს დასტრიალებდა განსაცდელი.

ტაიგის თავზე დაფრინავდა ორთავიანი ძვრა. შავ ფრთებს ასავსავებდა და მისი ჩრდილი გადაჰფარებოდა ტაიგას.

ტაიგის მთელი ავლადიდება ამ ძვრას გაჰქონდა.

ასე იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში, სულ დააქცია და გააღატაკა ძვრამ ევენკები. ევენკებმა თავი მოიყარეს მთა გოლიათის ძირას და სთხოვეს:

— ყოვლისშემძლე მთა-გოლიათო, შენ ერთადერთს შეგიძლია გვიხსნა შავი ძვრასაგან. გვიშველე, ორთავიან მტაცებელს მოვერიოთ!

დიდხანს იფიქრა მთა-გოლიათმა და ბოლოს უთხრა:

— სამწუხაროდ უძრავად ვდგავარ და ვერას გიშველით, მაგრამ ჩემს გამოქვაბულში არწივის ორი მართვი იზრდება, მოლონიერდებიან ისინი, მოფრინდებიან და დაამარცხებენ შავ ძვრას.

ევენკებმა მადლობა გადაუხადეს მთა-გოლიათს და შინ დაბრუნდნენ.

მოუთმენლად ელიან არწივის მართვებს ევენკები.

პატარა არწივები კი წამოიზარდნენ,

გაძლიერდნენ, დაშვენდნენ. უკვე ფრთების გაშლასაც ცდილობენ.

დღეს რომ მალლა შეინავარდებენ, ხვალ—უფრო მაღლა. დღეს რომ შორს გაფრინდებიან, ხვალ—უფრო შორს.

ფრთები თანდათან გაუმავრდათ, თვალის თანდათან გაუმახვილდათ.

ძლიერ ფრთოსნებად გადაიქცნენ არწივის მართვები. მალლა, ძალიან მალლა ნევარლობენ ტაიგის ცაში.

მათ თვალი მოჰკრა ოკათვიანმა ძვრამ და განრისხდა:

ვინ გაზედა აქ ფრენა, ტავაც ჩემია და ცაც ჩემიაო!

აფრინდა შავი ძვრა, სულ მალლა ავიდა, უნდოდა იქიდან ქვასავით წამოსულიყო და არწივებს დასცემოდა.

არწივები კი მასზე მალლა აფრინდნენ.

მტაცებელმა ბრჭყალები მოიმარჯვა და არწივებს ეძგერა. თანაც ნისკარტით ჰკორტინდა, კლანჭებით ჰკაწრავდა, ბუმბულს აწიწვინდა.

მაგრამ არ შეშინდნენ არწივები, შეუტიეს ძვრას და ზედ მთა-გოლიათზე მიიმწყვდიეს. მტაცებელი იქიდან ტბაში ჩაგორდა და ტბის ტალოებმა შთანთქმეს.

არწივები კი დაემუხენ ტაიგაში, მათკენ ყოველმხრიდან მობრბოდნენ ევენკები, უხაროდათ, იცინოდნენ და შესძახოდნენ:

— გმადლობთ, არწივებო, გმადლობთ, ყოვლისშემძლე ფრთოსნებო!

არწივებმა ასე უთხრეს ევენკებს:

— მოგროვდით მთა-გოლიათთან და ისეთ რამეს გაჩვენებთ, რომ თქვენს მამა-პაპას არასოდეს ენახოს.

არწივებმა მთა-გოლიათზე თავი მოუყარეს ევენკებს. იქიდან თვალს ძლიერ გადააწვდნენ ქვეყანას.

— ხელავთ, ირგვლივ რამოდენა ტყეა-ბია? — შეეკითხნენ არწივები.

— ვხელავთ, ტყეები კი ბევრია, მაგრამ ვისია?

— თქვენი, — უპასუხეს არწივებმა, — ტყეც, ნადირიც, ფრინველიც სულ თქვენია. ახლა ამ ტბებსა და მდინარეებს გახედეთ!

— ვხელავთ, — უპასუხეს ევენკებმა, — ტბებიც ბევრია ტაიგაში, მდინარეებიც ბევრია, მაგრამ ვისია?..

— თქვენია, — უპასუხეს არწივებმა, ეს ტბებიც, მდინარეებიც თევზებიანად — სულ თქვენია. აგერ, მთის ძირას ირმის ჯოგებს ხელავთ?

— ირმის ჯოგებსაც ვხელავთ, — უპასუხეს ევენკებმა, — იმდენი ირემია, რომ კაცი ვერ დაითვლის, მაგრამ ვისია?

— ირმებიც თქვენია, — უპასუხეს არწივებმა. ირგვლივ ყველაფერი თქვენია. ამ მიწის მფლობელიც თქვენა ხართ. იმუშავეთ, ახალი ცხოვრება შეჰქმნით!

დაემშვიდობნენ ყოვლისშემძლე არწივები ევენკებს და სხვა მხარეს გაფრინდნენ, რომ იქაც მიენიჭებინათ ხალხისათვის ბედნიერება.

ახლებურად შეუდგნენ ევენკები ტაიგაში ცხოვრებას.

ბავშვები და ახალგაზრდობა სწავლას დაეწაფა, დედაკაცები მამაკაცებთან ერთად გაუძღვნენ ქვეყნის მართვა-გამგეობას. ტაიგა ასეთ ბედნიერებას არასოდეს მოსწრებია.

იკითხავთ, ვინ იყვნენ ეს ყოვლისშემძლე არწივები?

ყველა ევენკმა იცის მათი სახელები, საშვილიშვილოდ დაიხსოვებს.

ეს არწივებია — ლენინი და სტალინი.

(ქობინალი „ბარბინოკ“ № 3, 1950 წ.)







მარიამ მამრიჩიძე ნახატები ალ. ხანძელაძისა

## რა გვიამბო ქალაქი

თინა და ეთერი, როცა სკოლიდან ბრუნდებოდნენ, წიგნებს საწერ მაგიდაზე დააწყობდნენ და ხელის დასაბანად სამზარეულოში გაიქცოდნენ. ბებია საუზმისათვის სუფრას გააწყობდა. ეს დრო სასიამოვნო იყო პატარა ოთარისათვის, რომელიც ყველას ფეხებში ებლანდებოდა და თავის შუშის თვალებიან დათუნისა ცალი ყურით დაათრევდა. უფროსი დების ქაიხაღის და ფანქარს ხელში მოიგდებდა, ჩაჯდებოდა სადმე კუთხეში და დაუსრულებლად ხატავდა.

ერთ დღეს, ეთერი და თინა სკოლიდან რომ დაბრუნდნენ, ბებია გაშალა სუფრა და ბავშვებს გაუმასპინძლდა.

უყურადღებოდ დარჩენილმა ოთარმა სკამი მიათრია საწერ მაგიდასთან და რის ვაი-ვაგლახით აცოცდა ზედ. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წინ გადაშლილი იყო: წიგნები, რვეულები, ქაღალდები, ფანქრები, საწერ-კალამი და საშლელი, ოთარმა ფანქარი ხელში აიღო და რვეულის ყდაზე დაიწყა ხატვა.

მალე მოსწყინდა ოთარს ეს გართობა, ახლა ეთერის საწერ-კალამს მისწვდა, მაგრამ მელანი შორს იდგა; სცადა მისი

ახლოს მოწვევა, სამელნე წამოყირავდა და გაშლილი წიგნის ფურცელი იისფრად შეიღება. ხელები სულ მოეთხუპნა ოთარს; წიგნს დასწვდა, დასვრილი ფურცლის ამოხვევა მოინდომა, მაგრამ უფრო დასვარა წიგნი.

ოთარს ნახევრად ჰქონდა ამოხეული ერთი ფურცელი, როდესაც ოთარში ეთერი და თინა შემოვიდნენ.

— ოთარიკო, რას შვრები!— შესძახა ეთერმა და ბავშვი სკამიდან ძირს ჩამოსვა, რომ ხელის დასაბანად გაეყვანა, მაგრამ ოთარი წიგნის ხელიდან გაშვებას არ აპირებდა.

უცბად ჩურჩული გაისმა: ბავშვმა ყური დაუგდეს, წიგნი ალაპარაკდა:

— რად დამამახინჯა ამ ბიჭუნამ? იცი, თუ არა, ჩემზე რამდენი შრომაა დახარჯული?

— წიგნო! გვიამბე შენი თავგადასავალი,— შეეხვეწა თინა მომჩივან წიგნს,— მე ოთარს დავსჯი ასეთი საქციელისათვის. შენ კი გაგასუფთავე და თვალისჩინივით შეგინახავ.

— კარგი!— უპასუხა წიგნმა და დაიწყა:

— ამბობენ, რომ მე ენგურის ქალაქის კომბინატში დავიბადე. წარმოშო-



ბით მთიდან ვარ; გინახავთ, ბავშვებო, მა-  
ლალი მთები, ცივი წყაროები, მთის  
მდინარეები და მულამ მწვანე, წიწვნა-  
რით დაფარული სერები? გინახავთ, თუ  
არა, ოდესმე: წაბლა დათვი, თხილიჯიპია  
ლაყვი, რუხი მგელი, მარდი ქურციკი  
და ლამაზი შველი? გინახავთ, თუ არა,  
დილით როგორ იღვიძებს მძინარე ტყე,  
ჩიტუნების ჟრიაზულში და კაკბის კრი-  
ახში? მე კი მინახავს. მე, პატარა წიგნი,  
რომელიც თქვენ გემსახურებით, ასეთ  
წარმტაც ბუნებაში დავიბადე რამდენიმე  
ათეული წლის წინათ. ჩემი მოზობლები  
მაღალი, ტანწორწეტა ფიჭვები იყვნენ.  
ჩვენს ირვკლივ ჰაერი ჯანსაღი და სა-  
მური სურნელებით იყო გაჟღენთილი.

ერთ დილას გვეწვივნენ ადამიანები,  
ავგარჩიეს, ტანზე ქღეულები დაგვასვეს,  
ადგილმდებარეობა მოინიშნეს და წავი-  
დნენ. ნეტავ რა უნდათ ჩემთან? ვფიქ-  
რობდი.

— უსათუოდ მოგპირან! — გადმომი-  
ჩურჩულა ნიავმა.

არ გასულა ერთი თვე და ხელახლა  
მოვიდნენ ჩვენი ნაცნობები. ამჯერად  
უკვე შეიარაღებულნი: ხერხით, ცულე-  
ბით და თოყებით. სხვა ფიჭვებთან  
ერთად მეც დამიწყეს ხერხვა. შემეშინ-  
და... თურმე რა მადარდებს! არც თუ  
ისე ცულდათა საქმე, მერომ მგონია. რამ-  
დენი ახალი სანახაობა და საკვირველება  
უნდა ახსო ქვეყნად! აბა, მაშინ მე რა  
ვიცოდი, რა იყო ქალაღი, სტამბა და  
მანქანები? მოკრის შემდეგ შემოგვატა-  
ლეს ტანზე ტოტები, გავასუფთავეს და  
სათითაოდ გამოგვათრის ტუიდან. ყვე-  
ლანი ერთ ადგილას დაგვაგროვეს და  
დაგეტოვეს. საღამო ხანი იყო, სიჩუმეში  
მთის მდინარის მშუილი ისმოდა.

— მგონი ამ ხრამში გვიპირებენ და-  
ცურებას! — მითხრა ბალახებში დაფარუ-  
ლმა ჩემმა მეზობელმა ფიჭვის მორმა.

— ეჰ! ხომ დაგვემტვრა გვერდები! —  
ვთქვი მე.

— არა უშავს. სამაგიეროდ იმ თეთრ  
ტალღებში განავარდება ხომ კარგი  
იქნება!

— მეშინია!  
— გაჩუმდი! ვაჟაკი არა ხარ? არც  
თუ ისე პატარა ხარ! — და ჩაგვეძინა.

მეორე დღეს რომ გავიღვიძე, მზე პირ-  
დაპირ დამჟურებადა. ერთი ჩიტე ჩამომ-  
ჯდარიყო ჩემს ბოლოზე და ნისკარტს  
იწმენდა.

მაღე მინდორზე კოლმეურნეობის  
ბრიგადირი ამოვიდა და მას თავისი ბრი-  
გადის წევრებიც ამოჰყენენ.

— აბა, — მიმართა მან ამხანაგებს, — გა-  
დავარჩიოთ ქალაღლის კომპინატისათვის  
სუფთა, ტანაყრილი და რაც შეიძლება  
თეთრმერქნიანი მორები.

ცულით ნაფოტი ჩამომათალა, შემა-  
თვალიერა და თქვა: „ამაზედ უკეთესიც  
არ შეიძლება. ძლიერ ლამაზი ნაზარ-  
ღიაო“.

დაგვატოვეს სათითაოდ იმ ხრამზე და  
ჰაიდა! მიფერინავ ჩიტევით. რამდენჯერ  
მიფიქრია: ნეტავი ერთი გამაფრინა მე-  
თქი, და აი, ნატერის ასრულებაც ასეთი  
უნდა. ვისრიალე ერთხანს თავდაღმართ-  
ში და ბოლოს აქაფებულ ტალღებში  
შევცურდი.

ალარც კი მახსოვს, ბევრი ვიცურეთ,  
თუ ცოტა. წყალი ჩქარი დინებიდან თან-  
დათან ნელ დინებაში გადავიდა და ჩვენც  
რიგრიგობით მივსდევდით ერთმანეთს,  
ვცდილობდი ამხანაგებს არ ჩამოვშორე-  
ბოდი.

ერთ მშვენეირ დღეს ისევ დავციხვ-  
დენ ადამიანები და ნაპირზე ამოგვათრისეს.  
მოგვიყარეს თავი ერთად და ასე გავა-  
ტარეთ მთელი შემდგომა, ზამთარი და  
გაზაფხული.

ზაფხულის შუა რიცხვებში ისევ მო-  
გვაკითხეს; დაგვალაგეს, ტივებად შე-  
გვკარეს, და შეგვატურეს წყალში. შეკარუ-  
ლი ტივები ბოლოს მდინარიდან ელე-



ქტრომანქანებით ამოგვიტანეს და ჩვენთვის გამზადებულ ხელოვნურ ტბაში ჩაგვყარეს.

ამდენი მგზავრობის შემდეგ სილაში დავისვარეთ, ტბაში კი წყალი სუფთა იყო. გაგვრცხეს, გაგვასუფთავეს და ტვირთაქწევი ონკანებით ვავონტებზე მოგვათავსეს. განა ოდესმე წარმოვიდგენდი, რომ მომიხდებოდა ვავონტებით მგზავრობა? მალე უზარმაზარი მანქანები, დიდი სარკინიგზო ხაზი, ორთქლმავლები და ელექტრომავლებიც კი ვინახულე. ვავონტებმა დამპობ საამქროში მიგვიტანეს. აქ აღამიანებმა ერთხელ კიდევ შეგვაპოწმეს, დაჟეჟილი და ცუდი ნაწილები ჩამოგვაქრეს, თითო მეტრზე და-

გვერხეს და ოთხად გავგაპეს. ახლა კი ავირეთ ერთმანეთში. აქედან გადაგვიტანეს უზარმაზარ საამქროში, იქ წვრილად დაგვანაფოტეს და აი, ფიქვის სურნელებით გაჟღენთილი ნაფოტები ჰაერის ძლიერი ნაკადის დაწოლით მივეფრინავთ ქვაბისაკენ! უზარმაზარ ძაბრისებურ ქვაბებში ვგროვდებით! შიგ სულის-შემხუთავი სიცხე დგას. ყველაფერი ვარვარებს, ვიხარებებით, ვნაწილდებით და ვითქვიფებით ერთმანეთში. ახლა, ხეები გავარვარებულ ფაფად ჭადავიქვით. აი, დაგვამატეს რაღაც ქიმიური ნივთიერება და ჩვენ სულ თეთრი, ქათქათა ფერი მივიღეთ. გაგვიხსნეს გზა, თუ არა, ქვაბებიდან თქრიალით დავეშვიტ ჩვენთვის სპეციალურად გამზადებულ ბადისებურ ფორმებში და ზედ ტყლაპივით გადავეყარით. მირბის ეს გრძელი, თეთრი სუფრა და მიგვაქროლებს! შევიარეთ საწნებ განყოფილებაში, გამოვედით საშრობში, რაძდენიმეჯერ შემოვიარეთ შიგ როლერებზე<sup>1)</sup> და მეორე მხარეზე მთლად გამზრალ ქაღალდად ვიქვით. ეტრიალებთ და ვეხვევით კოჭის ძაფივით. სქელდება და სქელდება დიდი რულონები.<sup>2)</sup> ამგვარად, ჩემო პატარებო, მე, მთაში გაზრდილმა ფიქვმა მივიღე ქაღალდის სახე. ქაღალდად ქცეული ჩემი ნაწილებით განა მარტო ამ წიგნში მოვხვდით: თეთრ, ქათქათა რვეულებში, სახაზავ და სახატავ ქაღალდებში... ყველგან მაქვს ცოტაოდენი წილი. აქ კი ვერ ხედავთ, როგორ მომექცა დღეს ოთარი? მე შემდეგ კიდევ გიამბობთ, ქაღალდი წიგნად როგორ ვიქვით.

ერთ რაიმეს გთხოვთ, ბავშვებო; იცოდეთ წიგნის მოვლა; უამისოდ არ შეიძლება სწავლა!

<sup>1</sup>, როლერი—მანქანის ნიწილი.  
<sup>2</sup>) რულონი—ხეული ქაღალდი.



# რუსთავეისკენ...

ტყეში აურზაურია,  
 მისვლა-მოსვლა, ხმურია,  
 უკვირთ ნაძვებს, უკვირთ ფიჭვებს,  
 დასკერიან გოგო-ბიჭებს;  
 რატომ თელიან? რად სურთ ნეტავ  
 ეს ფიჭვები ტანწერწეტა?  
 არც ბარავენ, არცა კრიან,  
 ძირიანად ნერგებს თხრიან.  
 უკვირთ ნაძვებს, უკვირთ ფიჭვებს,—  
 რა ახარებთ გოგო-ბიჭებს?!

სათითაოდ ამოთხარეს,  
 მიწიანად იჭვე დაღეს;  
 შეუბვიეს ძირი ყველას,—  
 გასაგზავნად გააშხადეს.  
 ეს ნერგები ყველამ ერთად  
 მიიტანეს ვაგონებთან.  
 უხარია მემანქანეს,  
 მთელ ტყეს დასძრაეს, გააქანებს;  
 ტვირთი მიღის სულ სხვაგვარი—  
 ტყე ნორჩი და ფეხზე მღვარი.

ჰა, დაძრა ორთქლმავალი,  
 გააყოლა ყველამ თვალნი.  
 — გიხაროდეს, მწევნე ნერგო,  
 რომ ეს ხეღერი წილიდ გერგო;

არ იქნებოთ დიდხანს გზაში,—  
 აცილებენ ნერგებს ტაშით.

გზაზე ყველა მათ შეშხარის:  
 — ეს ტყე საით მიიქჩარის? —  
 დადევნენ ბელურები,  
 ასხდებიან გაშლილ ტოტებს:  
 — გეტოვებთ, აღარ გვესუმრებით,  
 მაგრამ ჩვენ არ მიგატოვებთ!  
 რად მიღიხართ? საით, ვისკენ? —  
 ბორბლები კი როხროხებენ:  
 — რუს-თა-ვის-კენ!  
 — რუს-თა-ვის-კენ!

დღეს რუსთავეში ეს ნერგები  
 ამშვენებენ ქუჩებს, ბაღებს,  
 ახალს ქალაქს შეეთვისნენ,  
 ახარებენ დიდებს, ბაღღებს.  
 აწი მათ რა დალონებთ,  
 შეემატათ ფესვებს ღონე,  
 მოემატათ ტანი, სისქე.  
 სიხარულით იგონებენ  
 გამგზავრებას რუსთავეისკენ.

412







ნინო ნაპაძიძე

ნახატები ვლ. ტოროჭაძისა

# ღვვიკოს და თემურის თავგადასავალი\*)

## ღვვი და თემური სოფელში

ღვეი და თემური განაბული ისხდნენ მანქანაში. მალე სახლებიც გამოჩნდა. მანქანა ერთ განაპირა სახლთან გაჩერდა, იქ ჩამოსვეს ღვეი და თემური.

— ჰეი, დარო, გამოიხედე, ღვედაკაცო,—დაიძახა ერთმა.

სახლიდან ქალი გამოვიდა.

— მოხვედი, ვიო?

— მოდი, ამ ბაღლებს მიხედე.

— ვისი ბაღლებია, საიდან მოიყვანე?

— გზა დაბნევიათ, გზის პირას იყვნენ; შეგვეხვეწნენ წავგოყვანეთო.

— ჰაი, და-და-და, რა პატარები არიან, წამოდი, შეილო, წამოდი!—თქვა ქალმა და ბავშვები ელექტრონით განათებულ სახლში შეიყვანა. დიდ ტახტზე უკვე გაემალათ ლოგინი, ერთი ბავშვი იწეოდა და ეძინა.

— მშვიდები იქნებით, დაჯექით, ქამეთ!—უთხრა ქალმა და თითო მათლადა ღო და პური მოუტანა.

უპ, რა გემრიელი ღო იყო, როგორი ხალისით ქამდნენ...

— რა კარგი ღოა,—ამობდნენ ღვეიკო და თემური.

— უი, როგორ მოშინეთ! ქამეთ, ქამეთ, კიდევ გინდათ?—ეკითხებოდა დარო.

მაგრამ თემურს უკვე გაუვარდა ხელიდან კოვზი და თვალები დახუჭა. დარომ იმათაც გაუშალა დიდ ტახტზე ლოგინი და ორივე დააწვინა.

— დაიძინეთ, დაიძინეთ, შეილებო!—ვერც კი მოასწრო დარომ ლოგინიდან მოშორება, რომ ორივეს ჩაეძინათ.

დილას ორივემ ერთად გაიღვიძა, გოც შემოვიდა.

\*) დასასრული. იხილე „დილა“ № 3.

— გაიღვიძეთ? აბა, ადვილთ, ისაუბრეთ! აი, ბიჭებო, თქვენი სათამაშოების ყუთი, მანქანაში დაგჩვენოდათ!

— ოჰ, ძია, ისეთი მშვენიერი სათამაშოა, შიგ გველეშაპიც არის... კაცებს ყლაპავს.

— რას ამბობ, ბიჭო, ჩვენც არ ჩავეყლაპოს,—გაიცინა გიომ.—რაღა ყველა ერთად შეყრილობართ: გველეშაპი, თემურლენგი და დევი.

— არა, ძია, ნამდვილი გველეშაპი კი არ არის, არ შეგეშინდეს, ახლავე გიჩვენებთ.

— აბა, გვიჩვენე!

ბავშვებმა გაიგეს, რომ გიოსთან სტუმრად ორი ბიჭი არის, სათამაშოები მოუტანიათო და ყველამ იქ მოიყარა თავი.

დევიკომ და თემურმა დაჰკირეს თითი კოლოფის მარჯვალს, თავი აიხადა და ამოვიდნენ ჩაის მკრეფავები... მერე ამოვიდა სქელი ჩინელი.

— აი, ეს ჩინელების მეფე იყო, უყურეთ, ახლა რა დამართოს! ამ წუთში გველეშაპი ამოხტება...

მართლაც, კოლოფიდან ამოსრიალდა დიდი გველეშაპი, დაალო ხახა და გადაყლაპა მეფე და მისი მხლებლები.

ხალხი მოგროვდა და ყველა სიამოვნებით უყურებდა.

— ესენი ცირკის ხალხი ყოფილან! — გაისმა ხმები.

— ცირკის კი არა, ეშმაკები არიან,—

## თემურის და ღვივის დაქმებები

— თემურ, — დაიძახა თემურის დედამ ბაზრიდან რომ მოვიდა და სადილის სანოვაგე შოიტანა, — სად არის თემური?

— დევიკოსთან იქნება.

— დევიკო! დევიკო სად არის? — იკითხა დევიკოს დედამ.

— თემურთან იქნება, — მიუგო ძია შიომ.

— შიო, დაუძახე, გენაცვალე, — მიმართა თემურის დედამ ძმას, რომელიც იჯდა და წიგნს კითხულობდა.

თქვა ერთმა მოხუცმა და წამოდგა: მოსაკლავია ორივე, როგორ გამოიპარნენ ამ სიშორეზე ქალაქიდან. ვინ იცის, მაგათი საწყალი მშობლები როგორ დაეძებენ.

— პაპა, გზად რომ გაივლი სოფელსაბქოში შედი, ვინმე გამყოლი გამოგზავნონ, უთხარი ბავშვების ამბავი.

— მართალია, მოსაკლავები არიან, მოსაკლავები! სად არის ახლა მოკლილი კაცი, ამ გაცხარებულ მუშაობის დროს, რომ მაგათ გაჰყვეს.

ხალხი თანდათან დაიშალა, შეშინებულმა დევიკომ და თემურმა აქანკალებული ხელებით დაკეტეს სათამაშო ყუთი.

გიოც გავიდა შეშის დასაჩეხად და გარედან დაიძახა:

— დარო, ქალო, ცული ვერ ვნახე... სად არის?

— ახლავე მოვიტან, მებობელს ვათხოვე, — უთხრა დარომ და ისიც გარეთ გავიდა.

— დევიკო, მოგველავენ?

— მოგველავენ. ცულის მოსატანად წავიდა...

— გავიქცეთ! გავიქცეთ!

თემურმა დაავლო ხელი სათამაშო ყუთს და ორივე გარეთ გამოვარდა.

ოჰ, როგორ გაიქცნენ... როგორ მირბოდნენ, სულს ძლივს ითქვამდნენ. არცერთი სახლი აღარ ჩანდა. ირგვლივ ტყეები და მინდვრები დაიწყო, მაგრამ მაინც მირბოდნენ აქოშინებული ბავშვები.

შიო ჩავიდა ეზოში, იქით მიაკითხა, აქეთ მოაკითხა, უძახა, მაგრამ ბავშვები არსად ჩანდნენ.

— იქნება დეიდა ნატოსთან წავიდნენ, ახალი სათამაშოც წაუღიათ, — თქვა შეშინებულმა დევიკოს დედამ.

გაიქცნენ დეიდა ნატოსთან. დევიკოს და თემურის მამებიც მოვიდნენ სამუშაოდან, ატირებული დედები მიეგებნენ. შეფიქრიანდნენ მამები; სად წავიდოდნენ? ავ-



ტომ ხომ არ გაიტანა, ტრამვის ხომ არ შეახტენენ?!.. შიო და თემურის მამა მილიციაში გაიქცნენ. დაღამდა.

— იქნებ ხათუნასთან წავიდნენ სოფელში, დეპეშა გავუგზავნოთ, — და შიომ ხათუნას დედასაც გაუგზავნა დეპეშა.

ნათესალებით და ნაცნობებით აივსო ორივე ბიჭის დედ-მამის ბინა. მალე მილიციამ ტელეფონით აცნობა დევიკოს და თემურის მამას: ბავშვები გამოჩნდნენ, ოქროყანაში ასულაბ, ერთი კოლმეურნის ოჯახში არიანო. გაიქცა შიო, იშოვა მანქანა და გასწიეს.

შარაგზაზე გამოჩნდა ორი ყმაწვილი ძია სამსონმა და იოსებმა მანქანა შეაჩერეს:

- ჰო, ეს ჩვენი ბიჭებია!
- შეხედე, დევიკოს ფეხსაცმელები დაჰკარგვია. წინდებით მორბის!
- თემურის ორივე ფეხსაცმელი და ერთი წინდაც დაჰკარგვია.
- ძია სამსონ!
- ძია იოსებ! — შეპყვირეს დევიკომ და თემურმა და გაჩერდნენ.
- ძია სამსონმა და იოსებმა ბავშვები მანქანაში ჩაისვეს და სახლისაკენ გამობრუნდნენ.

### დევიკო და თემურა პირობა დადეს, რომ დაუბოთხებდნენ ალაჩხარ წაგდენ

სახლის მობინადრეები გარეთ გამოსულიყვნენ; სამივე სართულის აივნები სავსე იყო ქალებით, კაცებით, ბავშვებით. ყველა ელოდა, თუ როგორ მოიყვანდნენ ორ დაკარგულ ბიჭს და ყველა ჰკიცხავდა მათ, შშობლების დაუკითხავად რომ გაიპარნენ.

უცებ იოსებმა და სამსონმა მანქანა ეზოში შემოაგრიადეს. ჩამოხტნენ ბიჭები. მაშინვე იმათთან გაჩნდა დევიკოს და თემურის დედ-მამა. ატირდნენ დევიკო და თემური. ეზო ხალხით გაივსო; ყველას უნდოდა გაეგო, რას იტყოდნენ ბიჭები.

— ოჰ, დედიკო, იქ ჩვენი მოკვლა უნდოდათ; დეიდა დარო ცულის მოსატანად წავიდა... დევი ვეგონე, ცხრა თავი თუ გაქვსო, მიყურებდნენ... იქ ხათუნას სოფელი კი არა, ოქროყანა იყო.

— მგელი გადმოხტა, კინაღამ შეგვკამა. — სლუკუნებდა თემური. — თემურდენგი აღარ დამიძახო, მაძიკო, აღარ მინდა... საქართველო მშაობრაო... არ უნდოდა ჩვენი წაყვანა ძია გიოს.

— როგორ შეიძლება შშობლების დაუკითხავად ეზოდან გასვლა!..

— ორივეს ტყავი უნდა გააძროთ. — ისმოდა აქეთ-იქიდან მშობლების ხმები.

— არა, მაძიკო, ტყავი არ გავგაძროთ. მეტს აღარ ვიზამთ, დედიკო, აი, როგორ დავეცი, ნახე, მუხლი გავიტყეხე!

— თემურ, ჩვენი სათამაშო სად არის? — დაიძახა დევიკომ.

— აი, აქ არის. ხათუნა რომ ჩამოვა, ვაჩვენოთ! მიუგო თემურმა და ყუთი გახსნა.

მაგრამ... დევიკოს და თემურის საუცხოო სათამაშო მათს მოგზაურობაში მთლიანად დამსხვრეულიყო.







დავით ბაჩალიაძე

ნახატები ი. ვაბაშვილისა

## ტყუილს მოკლე ფეხი აქვს

(ერთი კვერცხის ამბავი)

დ. გაჩეჩილაძის პოემა «ტყუილს მოკლე ფეხი აქვს» პრემიირებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1950 წელს გამოცხადებულ საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებთა კონკურსზე. იბეჭდება შემოკლებით.

შინ ქათამი მოიყვანა  
პაპამ ამის წინათ.  
პირველად რომ დაინახეს,  
ბავშვებს გაეცინათ:

— პაი, ეს რა ქათამია,  
უცნაური, ჭრელი...  
საყელის ვინ შეუკერავს?—  
შიშველი აქვს ყელი;

და ბავშვები სიხარულით  
ფეხზე აღარ დგანან:

— ჰე, ქათამი სად იქნება  
ქვეყნად ამისთანა?

იქნებ ხელში ავიყვანოთ,  
იქნებ მიეგებოთ?—  
და ბავშვებმა მიუტანეს  
მის სიმინდის ტარო.

გამ დაფშენა, დაუყარა  
მოღზე მარცვალ-მარცვალ,  
მზია ქათამს წაეპარა,  
ფრთაში ხელი სტაცა,

და ქათამიც დამოჩრილდა,  
განა შეუშინდა...  
მზიას ხელში აყვანილი  
იზზირება მშვიდად.

რა არ უთბრეს პატარებმა  
ქათამს სააღერსო,  
სულ თამაშით დაატარეს  
ბაღნარი და ეზო:

— აი, შენი სამფლობელო,  
კარგად დაიხსომე,  
როცა «ჯუჯი» დაგიძახოთ,  
ჩვენთან მოდი ხოლმე.—

ქათამს გაა ხელის გულზე  
აწვდის ყვითელ მარცვლებს.  
ისიც მარცვლებს სიმალიდან  
დაცვირვებით დასცქერს.

შემდეგ ზანტად მოუღერებს  
ნისკარტს, როგორც ეკალს,  
თითქოს ჭამა კი არ უნდა,  
ხათრისათვის კენკავს...

ჯუჯის ტახტი გაუკეთა  
გიამ დასაწოლად,  
და საბანიც შეუკერა  
მზიამ თითისტოლა.

ჯუჯის ტახტზე დააწვენენ,  
დახურავენ საბანს.  
მასაც ვითომ ეძინება,  
ვითომ თვალებს ნაბავს...

მეგრამ რა წამს  
დროს იხელოებს,  
გარეთ გაფრინდება;  
თუ მიწაზე უღამდება,  
ხეზე უთენდება.

\*

დრო გავიდა. უკვე ჯუჯი  
შეგეგია ბავშვებს.  
თუ ეზოში მოსწყინდება.  
ბღში დაფარფაშებს.



რა საქმე აქვს?  
მხოლოდ დილით  
კვერცხი უნდა დადოს.  
მერე რა რიგ სასაცილო  
არის ჯუჯი ამ დროს.

ჩქარობს, გარბის კისრისტეხით  
თითქოს მისდევს ცეცხლი...  
საბუღარში ჩაფრინდება,—  
და მზად არის კვერცხი.

მაგრამ ბებოს ჯუჯის კვერცხი  
მოიჭებს, სადღაც მალავს.  
საბუღარში ტოვებს მხოლოდ  
მძველსა და ჩაღას.

დასცქერიან ბავშვნი მძველს,  
კვითელსა და ლაყეს...  
მძველის გვერდით ჯუჯის  
კვერცხი  
ერთხელაც ვერ ნახეს.

ჩანს აგროვებს სანაშენოდ  
ჯუჯის კვერცხებს ბებო,  
სულ სხვა არის ჯუჯის კვერცხი,  
კვერცხი საოცნებო!

\*  
ერთხელ, დილით ჯუჯი ჩაჯდა  
თავის საბუღარში.  
გია მზიას გადახედა  
და შემოჰკრა ტაში.

მერე მზიას ხელი წაჰკრა,  
ეუბნება ასე:  
--- პა, ბურთი და მოედანი.  
ბებო არის წყალზე...

მოდი, ენახოთ ჯუჯის კვერცხი  
თეთრია თუ მწვანე...  
დადებული დაგიხედება.  
წალი, მოიტანე.

მაგრამ მზია აიპრობა:  
--- უჰ, რას ამბობ, ბიჭო?  
--- რას და, მინდა სანაშენო  
კვერცხის გემოც ესინჯო.

შენ ჩაძვრები საბუღარში,  
მე აქ ვიღარაჯებ.  
შენ ხომ ჩემი დაია ხარ,  
ქვიანი და მარჯვე?—

გააბრიყვა მზია ხვეწნით  
ტკბილი საუბრითა,  
და ის კვერცხი ამოიღო  
მზიამ საბუღარიდან.

\*  
გია მღვლეფში ფაცა-ფუცით  
ნადავლს თავი უკრა,  
და ბუხართან წამოსკუბდნენ:  
გია, მზია, ცუგრა.

კვერცხის შეწვის მოლოდინში  
ჩასცქერიან ლაღარს,—  
ცეცხლი ხან ერთს მიაშუქებს,  
ხან მეორეს ხატავს.

ფერფლს დაიყრის ნაკვერცხალი,  
გაჩხრეკენ და კვესავს.  
გარეთ რაღაც გაფაჩუნდა,  
ვია მსუნაგებსა...

თუნდაც გქონდეს ლომის გული  
და არწივის თვალი,  
თუ ცუდ საქმეს წამოიწყებ,  
მყის ვახდები მხალღი.

გაგებდითო—მღელვარებით  
გია მზიას ურჩევს:

ვახედეს და ძველ ზინიდან  
ხბო წიწქნიდა ფუჩქნს.

ისევ დასდნენ ცეცხლის პირას,  
მღელვარებაც დაცხრა.  
მაგრამ ახლა ქიშკრის სვეტი  
აქრიალდა მარცხად.

\*  
ბებო არის,—შფოთავს მზია.  
უთვალთვალეს დიდხანს...  
— ეს ხომ ჩვენი კამეჩია,  
ზურგს ქიშკარზე იფხანს?—

იცინეს და იხარხარეს,  
შიში ახლაც ქრება...  
ალბათ, ბებო ცოც წყაროსთან  
თავის ზღაპრებს ჰყვება...

ანდა გზაში მეზობლებთან  
შერჩებოდა სადმე;  
ერთს კი არა,  
ას კვერცხს შეეწვავთ  
იმის ამოსვლამდე.—

გია უკვე გადაწყვიტა  
კვერცხი გამოიღოს;  
ადრე არის? არა უშავს,  
ცოტა უშიც იყოს.—

და ის იყო მან საკეცე  
ხელში მოიმართა,  
შუცებ ბებოს ჩახველება  
გაიგონეს კართან...

ქვესქელიდან თუ ამოძვრა!  
ეჰ, რად მოხდა ასე...  
სახლში მარდად შემოვიდა  
ბებო ჩაფით მხარზე;

მზია გიას, გიაც კიდევ  
ცუგრას გადაჰყურებს...  
ცუგრა კი ახეჩინად  
აპანტურებს ყურებს.

თითქოს ამბობს:  
—მე რას მერჩის?  
ვია თქვენე ბრალი!  
დამნაშავეს თვითონ ნახავს  
ბებოს სამართალი.



ბებომ დაბლა გადმოიღო,  
დადგა ჩავი სველი.  
ნეტავ ასე რად წაუხდათ  
ბავშვებს საქციელი?

აიძურწნენ პატარები,  
გაიტრუნა ლეკვიც:  
საიდუმლოდ აჩურჩულდნენ.  
მზია გიას ეკვრის.

ბებომ ჰკითხა:—სწორი მითხრას,  
ვისაც თავი უყვარს!  
იმ ლაღარში რა იპოვეთ,  
რომ ჩასტკერიო: ბუხარს?—


დახეთ, გია რა ყოფილა,  
არც ეცვალა ფერი.  
უპასუხა:—ვთამაშობდით...  
მეტრ არაფერი...

თანაც მზიას, —არ გატყდეთ,  
მჯილთი დაემუქრა.  
ზის და ყურებს არხინდად  
აპანტურებს ცუგრა.

— სტყუი, გიავ, შენ დიდი ხარ.  
ჰკუაუც გამართებს მეტრ...  
ჩემო მზია, ჩემო გვიტო, —  
შენ ხომ მართალს მეტყუი?

და ალერსით ჩააცქერდა  
ბებო მზიას თვალში.  
მზია შეკრთა, მაგრამ მიანც  
არ დაიბნა ბავშვი:

— ვთამაშობდით,  
ვიცავე დედას,—  
უპასუხა მხდალად,  
და იკბინა იქვე ნეკზე,—  
ფიცს წაართვა ძალა.



(დახასრული შემდეგ ნომერში)

— მჯერა, —უთხრა ბებომ  
ბავშვებს,—

ისაუზმეთ ბარემ,  
მერე ბალში ითამაშეთ,  
გინდ ბოსტანი ბარეთ.—  
ესა თქვა და რა არ გაჩნდა  
წაშში მაგიდაზე:  
შოთი პური, ხაჭაპური.  
ქილა მაწვნით საესე.

ღვეს ვეება ჩანაჭერი  
ქარვისფერი ლორის.  
ყველიც, სასვე მთვარესავით.  
მოჩანს პურებს შორის.

გვერდს მოუჯდა გია მზიას,  
პურს შეექცა მშვილად:  
„ეჰ, ის კვერცი,  
ალბათ ცეცხლში  
უკვე დნახშირდა...“

ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო.  
ვინ მოჰორა, ვინა?  
და ჩაუტრა მზიას თვალი.  
ჩუმად ჩაიცინა.

ჯერ აღრეა, პატარებო,  
კოტა დაცალეთ:  
ის ტყუილი, თქვენ რომ ბრძანეთ,  
ფებს წაიტეხს მალე.

სთერ ლიტერატურა

გივის ნატვრა

ჩემი ძმა ხომ მფრინავია,  
თქვენ არ იცით განა?!  
მე რომ დიდი გავიზრდები,  
ძმას გავყვები თანა.  
ავფრინდებით რკინის ჩიტით,  
ძირს დარჩებით ყველა,  
ჩვენ კი ცაში ვინავარდებთ,  
ვიფრენთ ნელა-ნელა.  
ჩემი ძმა ხომ გემირი არის,  
მეც მსურს გავხლდე გემირი,—  
რომ შევიქნე ჩვენი ქვეყნის  
სასახელო შვილი.





ნიკოლოზ ჩაჩავა

ნახატები ე. ლალისა

## კ ა რ გ ი წ ი გ ნ ი

კვირა დღით ეღაჩემმა  
მომიტანა კარგი წიგნი,  
ო, რა წიგნი,  
ო, რა წიგნი.

ნაირ-ნაირ ფერადებით,  
დახატული გარეთ, შიგნით.  
არ ღუაწერ ფერად ფანქრით,  
გაფუჭდება ჩემი წიგნი.  
დაისხევა, დაძვედება  
ჩემი წიგნი, გარეთ, შიგნით.

ვერც ვათხოვებ ოთარიკოს,  
ამასწინად ის არ იყო—  
გამომტაცა. წიგნი უცებ,  
ვითომ მართლა კითხულობდა,  
სათითაოდ ხევედა ფურცლებს?!  
სათამაშოს მივცემ ბლომად:  
თუნდ ბზრიდას, თუგინდ ავტოს,

წიგნს ვერ მივცემ, ვერ ვუნდობი.  
ზედ რამე არ დამიხატოს.


თუ კი უნდა გვერდით დავდეს,  
წიგნს გადავშიდი ფრთხილად,  
წყნარად...

წიგნითხავე, მოვუყვები  
ყველა ღექსს და ყველა არაკს.  
ოთარი ხომ პატარაა,  
ჭერ ეს წიგნი ჩემთან იყოს;  
როცა დიდი გავიზრდები,  
ამას მივცემ ოთარიკოს.  
როგორ მიყვარს, ჩემი წიგნი,  
რა წიგნი მაქვს, ო, რა წიგნი  
ნაირ-ნაირ ფერადებით  
დახატული გარეთ, შიგნით.

## ჩვენებური თევზები

### ხრამული

მჭუხარე ხრამში ამ თევზის  
ვინ-ღა არ არის მწახველი,  
ამიტომ ხრამის წყალისგან  
წარმოსდგა მისი სახელიც.



ღა მაინც ყველა მდინარის  
იგი მკვიდრია ნამდვილი.  
ბევრიც ეძებოთ, ვერ პოვოთ  
სამშტაკაველამდე გაზრდილი.

გამრავლების დროს გუნდი-გუნდს  
ქარაუვანივით მიჰყვება.  
ლიფსიტას გამოჩენისთვის  
თითქმის ოცი დღე სჭირდება.

გემრიელია საკმელად.  
ფხიანი არის ძალიან.  
საქართველოში ხრამული  
ყველა მდინარის თვალია.

ბრიგოლ იბაღაძე





# ბუნების კარი

## გაზაფხულის ყვავილები

გიგლა და სოფო ტყეში რომ შვეიდნენ. ძიწაზე ჯერ კიდევ თოვლი იდო. ქუჩუსა და ხეებიდან ჩამოცვენით ტოტის ნამტვრევებს მისთვის თაღის მომჭრელი სითფთრე დეკარვა. თოვლი ალაგ-ალაგ ისე დამდნარიყო, რომ მიწა მოჩანდა.

აი, თეთრყვავილა, გიგლა! — დაიძახა სოფომ და ყვავილთან დაიჩოქა.

თეთრყვავილას თოვლი გაეხერხტა და ზარივით დაკიდული თეთრი ყვავილები გაეშალა. სოფომ ყვავილის გარშემო თოვლი გახვეტა და პატარა ბარით მცენარე ძირიანად ამოიღო. იქვე ენძელაღ მონახა.

ხედავ, სოფო? ტყეში უკვე გაზაფხულია: თოვლი დნება, ყვავილები იშლებოდა, ხეები „იღვიძებენ“.

— ხეები როგორ იღვიძებენ?

გიგლამ ერთ ხეს წაღლით კრილობა გაუკეთა. კრილობიდან გამჭვირვალე სითხემ გადმოჟონა.

— ხეებში წვენი მოძრაობს. ამას ხეების „გაღვიძებას“ ეძახიან: ხომ ვაგიგონია:

„თებერვალი დაღგაო, ხეში წყალი ჩაღგაო. ჩიტმა-ჩიორამაო საძირკველი დაღგაო.“

— რა კარგია! ჩიტი-ჩიორაც მალე ბუდეს გაიკეთებს. ტაში შემოჭრა სოფომ.

ძმა ფიჩხის შვერკვებაში გაერთო, დამ იქვე ახლოს ცისთვალა იპოვა. ცოტა მოშორებით ბუჩქნისძირასაც მიაგნო, მისი ყვავილი სოფოს მუდამ ყანწს აგონებდა. გოგონა ყვავილებს მიწიდან ბარით ფრთხილად იღებდა, ბევრი მათგანი ფესვის ყელიდანვე იშლებოდა ნაწილებად.

უკვე წასვლის დროა, თქვა გიგლამ და შვერკვოლ ფიჩხს შეკვრა დაუწყო. სოფომ ყვავილების ლამაზი თაიგული შეკრა.

გიგლა, მერტომ სხვა ყვავილებიც არ ჰყვავის? როგორ დამაშველებდა ჩემს თაიგულს გვირია. ან ყაყაო!

— დაუკვირდი შენი ყვავილების ძირებს! ხედავ, ზოგის ძირი კარტოფილს ჰგავს. ზოგის — ხახვის ბოლქვს.

— ბოლქვები ხომ მთის შროშანასაც აქვს?

— აქვს, მაგრამ მის აღმოცენებას და გაშლას უფრო მეტი სითბო სჭირდება, ვიდრე გაზაფხულზეა; ყვავილების ბოლქვებში მცენარის საკვებია დაგროვილი. მზე ოდნავ დაათბუნებს თუ არა, გაზაფხულის ყვავილები ბოლქვებში დაგროვილი საკვებით თოვლის ქვეშ იწყებენ ზრდას და ბირეცლები ამოდიან მიწის ზედაპირზე. ზაფხულის განშავლობაში ისევ იკეთებენ ბოლქვებს, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე კვლავ ყველაზე ადრე გაიშალონ.


— ყაყაოსა და გვირილას არა აქვს ბოლქვები? — იკითხა სოფომ.

— ყაყაოს და გვირილას ბოლქვები არა აქვს. ისინი თესლიდან ამოდიან. სანამ თესლიდან ფესვი განვითარდება და საზრდოს იშოვის, დიდი დრო გადის; ამიტომ ყაყაო, გვირილა და სხვა მრავალი ყვავილი ადრე გაზაფხულისათვის ვერ ასწრებს ამოსვლას და ყვავილების გაშლას.

ლაპარაკში მანძილი ტყიდან სოფლამდე შეუმჩნევლად დაიღო. სახლთან მიახლოებულმა გიგლამ და სოფომ ერთს კარებში მათ შესახებ დერად გამოსულ დედას ყვავილები მიართვეს.



თამარ სამბაქაძე



## შეადგინეთ!

ბავშვებო, ასეთი ნახატი ქალღმერთს გადახატეთ, შემდეგ გამოჭერით ცალკე-ცალკე ნაწილები და შეადგინეთ ისეთი რამ, რომლის მოსაკრფელად ტყეში დადიან და რისგანაც აშხალებენ გემრიელ საჭმელს.

შეადგინა ქ. კორაშვილმა

## ა მ ო ც ა ნ ა

ბავშვები ტყეში სოკოზე წავიდნენ. მათ ერთ ადგილს ნიყვი დაინახეს; დაკრიფეს, ჩააწყეს თავიანთ კალათებში. ჩამოსხდნენ ჩრდილში და შეუდგნენ თვლას.

— შე 16 სოკო მაქვს, —წამოიძახა ნოდარმა. — შენ რამდენი გაქვს დათო?...

— მე რომ სამჯერ იმაზე მეტი მომეკრიფა, რაც ახლა მაქვს, შენზე იმდენით მეტი მექნებოდა, რამდენითაც ნაკლები მაქვს, — მიუგო დათომ.

რამდენი სოკო ჰქონდა მოკრეფილი დათოს?

შეადგინი რ. თავდიდიშვილის მიერ

## გ ა მ ო ბ ი ც ა ნ ი თ!

გაზაფხულდა. გარშალა ია—მინდვრის მშენება; ჩიტუნები აჭიკჭიკდნენ, იწყეს ბუდის შენება. სათბილობლოდ ყველამ ჩალა და ბუმბული იხმარა; ზოგმა ოთხი კვერცხი დადო, ზოგმა სამიც იკმარა. რვა ბუდეში კვერცხი დადეს სულ მთლად ოცდაცხრა ცალი; რამდენშია ოთხ-ოთხი და რამდენშია სამ-სამი?!

დავით ძეგაშიძე



## ქ ა ს უ ხ ე ბ ი

ქუნდა „ღიღა“ № 1-ში მოთავსებულ ამოცანისა:

ნიკოს, სიკოს და ლევანს კრეფის დროს ატამები რომ არ შეეჭამათ, გასაყოფი ვქნებოდით 60 ატამი.

ყდაზე: „მერცხლები“ ნახატი რ. ხტურაბას

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ შარვაშიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყ. მარგელიშვილი, ი. სხარულიძე, ნ. უნაქოშვილი, შ. ცხადაძე.

А И Л А — ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 4, Апрель 1961 г. Тбилиси, Ленина 14. Детиздат Грузии

საიდენტო რედაქციის მისამართი: თბილისი დენის 14. მ ხართ.ტელ. № 37-18  
გამომც. შუკ. № 100 სტამბის შუკ. № 809, 808 ტრაქტი 7/46 უკ 0000 ტექსტი ანუბოლია ე. პ. ბერას სახელობის პოლიგრაფიკული-ნაბეჭდვის საწარმო. კურნალი დაზველიდა ოქტბრის ხსენების მანქანაზე „საბოცა უოსტოკას“ სტამბაში: თბილისი, რუსთაძის ქაოსი. № 42

